სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

29 ივლისი 2026

N 21/10999

შპს „ჯორჯია უნივერსალ"-ის დირექტორს
ბატონ გენადი ხოზრევანიძეს

მის: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვედა კვირიკე მე-3 ქ., №10
ელფოსტა: georgiauniversal2018@gmmail.com

ბატონო გენადი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 2 ივლისს №10020 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში არსებული ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავების სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2025 წლის 10 დეკემბრის №21/12625 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

ა) სკრინინგის განცხადების 5.2 ქვეთავში (ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე) მითითებულია, რომ „მიღებული შედეგებით საშტატო რეჟიმში საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტში შერჩეულ საკონტროლო წერტილში არც ერთი მავნე ნივთიერების მიმართ დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაანგარიშებული მაქსიმალური კონცენტრაციები, ფონის გათვალისწინებით, არ გადააჭარბებს საცხოვრებელი ზონისათვის ან მავნე ნივთიერებებისათვის დადგენილ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმატიულ მნიშვნელობას." აღნიშნული დასკვნა გაკეთებულია შესაბამისი გაანგარიშების წარმოდგენის გარეშე. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ბეტონის დამამზადებელი საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოდელირების ანგარიში უახლოეს მოსახლესთან მიმართებით, სადაც გათვალისწინებული იქნება მიმდებარედ არსებული შპს „ლეგი"-ს საწარმოდან მოსალოდნელი გაფრქვევები;

ბ) სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი და ბეტონის დამამზადებელი საწარმოების ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები და უახლოეს მოსახლესთან მიღებული ხმაურის დონე, მიმდებარედ არსებულ შპს „ლეგი"-ს საწარმოსთან ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხის დაზუსტებამდე, კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში ა/წ 14 ივლისს შევიდა ცვლილებები, რომლებიც ასევე ეხება მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ობიექტების განთავსებასთან დადგენილ შეზღუდვებს და გადამუშავების პირობებს. გთხოვთ, აღნიშნული ცვლილებები და ახალი რეგულაციები გაითვალისწინოთ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისას.

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10999-21-2-202607291442

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE